ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/06

დაბა ქედა, **28 აპრილი, 2023 წელი**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 13:30 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 19.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში;
დაბა ქედის დავით გურამიშვილის სახელობის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/06 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

28 აპრილი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს საჩუქრად გადასცა შალვა აბაშიძის საავტორო წიგნების კრებული ,,დედაო ჩემო ქედაო", შემდეგ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის №01-06/06 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის
სამსახურის უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. „„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №გ-95. 95230904 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის შესრულების ანგარიში;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის შესყიდვების განყოფილები უფროსი: გივი დევაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის №01-06/06 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ განცხადება გააკეთა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ ორ საკითხთან დაკავშირებით:

ა) სოფელ კვაშტაში სასმელი წყლის საკითხი როდის მოგვარდებოდა;

ბ) სოფელ უჩხითში გზის პრობლემის საკითხი და აქვე მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს ამირან ცინცაძეს გაეწია შუამდგომლობა აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად შესაბამის სამსახურში, რათა დროულად მომხდარიყო აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ იკითხა ვის მიერ იყო მიღებული შინმოვლის პროგრამა და აღნიშნა, რომ ბევრი ხარვეზი შეიქმნა შემდგომ ამ პროგრამის განხორციელებისას, კერძოდ, სტატუსის მინიჭების საკითხი, ვინაიდან რთულია მოქალაქისთვის ტრანსპორტირებისა და მისი გამოკვლევებისათვის საჭირო ფინანსური თანხის მოძიება. მისი აზრით, ბენეფიციარს მუნიციპალიტეტის 200 ლარიანი დახმარების მიღებისთვის გამოკვლევები და ფინანსური ხარჯი სჭირდება, რაც ხშირ შემთხვევაში არ გააჩნია. მისი თქმით მოქალაქე რომელიც საჭიროებს შინ მოვლას, სტატუსის მინიჭებას აღარ უნდა საჭიროებდეს და ეს მუნიციპალიტეტში კომისიამ უნდა გადაწყვიტოს.

საკრებულოს წევრმა მინდია არძენაძემ კითხვით მიმართა სხდომაზე დამსწრეთ, როდის იქნებოდა დასრულებული სოფელ დანდალოს საჯარო სკოლის ტერიტორიაზე მინი სპორტული მოედანის მშენებლობა.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განცხადებებთან დაკავშირებით განმარტა, რომ შინმოვლის პროგრამა გასულ წელს მიღებულ იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების ფორმით ქვეპროგრამის სახით და მოიცავდა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს, რაც შეეხება სოფელ დანდალოს საჯარო სკოლის ტერიტორიაზე მინი სპორტული მოედანის მშენებლობას, რადგანაც საჯარო სკოლის ტერიტორიის ნაწილი იყო გაარკვევდა აღნიშნული საკითხის გადაჭრა მუნიციპალიტეტის დონეზე თუ იქნებოდა შესაძლებელი.

1. მოისმინეს: ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა სულიკო სურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: დ95.95231161, 26.04.2023 წელი) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზანია განისაზღვროს მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს ვალდებულება, მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით,

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს მუნიციპალიტეტში ბოლო ორი წლის განმავლობაში მშენებლობის შეჩერების რამდენი ფაქტი იყო დაფიქსირებული და ასევე იკითხა, რატომ ხდებოდა აღნიშნული დადგენილების პროექტის 2023 წლის 28 აპრილს მიღება, მაშინ როდესაც წარმოდგენილი დადგენილების პროექტი 2023 წლის 1 აპრილიდან შედიოდა ძალაში, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი საკრებულოში შემოტანილი იყო მარტის თვეში და ამ დრომდე გადიოდა სამართლებრივ პროცედურებს (აღნიშნული დადგენილების პროექტი წინასწარი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გაიგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტში, საიდანაც მოვიდა სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები, ეს შენიშვნები შემდგომ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომაზე იქნა განხილული და შესაბამისად წარმოდგენილ დადგენილების პროექტშიც მოხდა მისი ასახვა). ასევე მიზანშეწონილია დადგენილების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე."

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რა პერიოდი აქვს განსაზღვრული პირს დაჯარიმების შემდეგ მის გამოსასწორებლად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, შეჩერების შემთხვევაში რა ვადებში ექნებოდა პირს უფლება მშენებლობის გაგრძელების.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს ბათუმი-ახალციხის ცენტრალური გზის ქვედა მახუნცეთის ტერიტორიაზე არსებული უკანონო მშენებლობის შესახებ რა ღონისძიებები იქნა გატარებული მუნიციპალიტეტის მიერ.

კითხვებთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მშენებლობის შეჩერების ფაქტი მუნიციპალიტეტში არ დაფიქსირებულა, რაც შეეხება კომპანიას, რომელსაც შეჩერებული აქვს საქმიანობა ხარვეზების გამო მას ეძლევა ერთვიანი ვადა მის გამოსასწორებლად, იმ შემთხვევაში თუ ობიექტის გადამოწმებით დადგინდა, რომ აღმოფხვრილია მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში მითითებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერების საფუძველი, ზედამხედველობის სამსახური გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს „მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც მშენებელს საშუალებას აძლევს გააგრძელოს თავისი საქმიანობა, ხოლო ბათუმი-ახალციხის ცენტრალური გზის ქვედა მახუნცეთის ტერიტორიაზე არსებული მშენებლობის თაობაზე, განმარტა, რომ მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მშენებელი დაჯარიმებულია და აღნიშნული საქმე გადაცემული აქვს აღსრულების ბიუროს.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს მომხსენებლის შენიშვნის გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 3 (შორენა კარანაძე, მინდია არმენაძე და დავით სირაბიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

(დადგენილება №3, 28.04.2023 წელი).

2 .მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95231111-95, 21.04.2023 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნუსხის დადგენა, რომელითაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული აუქციონის ფორმით განხორციელდეს პრივატიზება - საკუთრებაში გადაცემა როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებზე.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რა ეტაპზე იყო ამჟამად ორი ობიექტის მშენებლობა. კერძოდ, გასულ წელს სოფელ აქუცაში მთავრობის თავმჯდომარეზე სანატორიუმის მშენებლობისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთი და სოფელ ქვედა მახუნცეთის ტერიტორიაზე პანორამული ლიფტის მშენებლობის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, იყო თუ არა დაინტერესებული ვინმე ყოფილი თამბაქოს ფაბრიკის შენობის შეძენით.

კითხვებთან დაკავშირებით მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ განმარტა, რომ სოფელ აქუცაში არსებული ტერიტორია მუნიციპალიტეტის მიერ გადაეცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში, რომელსაც განკარგავს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, რაც შეეხება შემდეგომ პროცედურებს შესაბამისი სამსახური არ იყო ინფორმირებული ამის თაობაზე. ხოლო სოფელ ქვედა მახუნცეთის ტერიტორიაზე პანორამული ლიფტის მშენებლობასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების შესაბამისად მოქმედებდა. თამბაქოს ქარხნის შენობის თაობაზე კი აღნიშნა, რომ ამ ობიექტით დაინტერესებული პირი დღემდე არ ყოფილა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 5 (შორენა კარანაძე, მინდია არძენაძე, გოჩა ჟღენტი, ჯემალ დავითაძე და დავით სირაბიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95231184, 28.04.2023 წელი).

3. მოისმინეს: „„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №გ-95. 95230904 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა

და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №გ-95. 95230904 განკარგულებაში ცვლილების შეტანის“ შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: წერილის ნომერი: 95-95231161 თარიღი: 26/04/2023 და დ95.95231161 თარიღი: 26.04.2023 წელი) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვაანგარიშგების წესის დამტკიცება, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღის ცვლილება, რომელიც განპირობებულია ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ენობრივი სისწორის თვალსაზრისით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების შესაბამისად, ჩვენს მიერ გადაგზავნილი დოკუმენტის ვადებში დაბრუნების პროცედურებთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 5 (შორენა კარანაძე, მინდია არძენაძე, გოჩა ჟღენტი, ჯემალ დავითაძე და დავით სირაბიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95231183, 28.04.2023 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის შესრულების ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95230588-95, 27.02.2023 წელი) საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, როდის იწყებოდა დაბა ქედაში ახალი წყლის სისტემის პროექტების განხორციელება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ პროექტს განახორციელებს აჭარის წყლის ალიანსი, თავდაპირველად მოხდება საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება, დანარჩენი პროექტების განხორციელება შემდგომ იქნება შესაძლებელი.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, სოფელ უჩხითში არსებული სასმელი წყლის პრობლემის შესახებ, აღნიშნულ სოფელში სასმელი წყლის პრობლემა დღემდე მოუგვარებელი იყო, რის მიზეზად და ხელისშემშლელ ფაქტად გოჩა ჟღენტი ასახელებდა ადგილობრივი მოსახლეობის 90%-ზე მიწის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის არ ქონას, ამიტომ ის კითხულობდა, როდის მოხდებოდა აღნიშნული პროექტის განხორციელება. რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ დასახელებული მიზეზი არ წარმოადგენდა პრობლემას, რადგანაც წყლის სიტემების გაყვანა,

როგორც წესი, იგეგმება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე და საავტომობილო გზების გასწვრივ.

საკრებულოს წევრმა მინდია არძენაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, სოფელ დანდალოში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია როდის დასრულდებოდა, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ კონტრაქტორი რომელმაც გაიმარჯვა ტენდერში ჰქონდა ვალდებულება შეესრულებინა დაკისრებული სამუშაო, თუმცა მომწოდებელმა ვერ შეძლო ვალდებულების შესრულება, რის გამოც მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა ხელშეკრულების შეწყვეტა. ამ საკითხზე სხვა სამართლებრივი ბერკეტი მერიას არ გააჩნია. აქვე განმარტა, რომ აღნიშნული პროექტის დასასრულებლად საჭირო იყო პროექტის ხელახლა შესწავლა და საპროექტო ორგანიზაციის მიერ მისი შეფასება მიმდინარე საბაზრო ფასად.

მინდია არძენაძემ მომხსენებელს მიმართა, რომ აღნიშნულ შემსრულებელი თავიდანვე ვერ შეძლებდა დაკისრებული ვალდებულებების განხორციელებას, რადგანაც მომწოდებლის მიერ არცერთი პროექტი არ იქნა შესრულებული სრულყოფილად. შემდეგ საკრებულოს წევრებს მიმართა - რა პასუხი უნდა გაეცეს იმ 11 მოქალაქეს, რომელიც ობიექტზე საქმიანობდნენ და თანხა აქვთ ასაღები კონტრქტორისგან, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ შესყიდვების სააგენტოს ვერ მიუთითებს მუნიციპალიტეტი, რომელმა შემსრულებელმა მიიღოს ან არ მიიღოს მონაწილეობა ტენდერში, მაშინ როდესაც მომწოდებელი აკმაყოფილებდა კანონმდებლობით მოთხოვნილ ყველა ნორმას. სამწუხაროდ ასეთი საკითხის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რა თანხა დარჩა აუთვისებელი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რამდენი იყო შესრულება. მისი თქმით, ბიუჯეტიდან აუთვისებელი თანხა დარჩა, როგორც სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის გამოყოფილ ნაწილში, ასევე ინფრასტრუქტურულ პროექტებში. ათობით მოქალაქეს კი ფინანსური დახმარების შესახებ განცხადებაზე ბიუჯეტში თანხის არარსებობის გამო უარი ეთქვა, როდესაც მუნიციპალიტეტს 2 მილიონი ლარი დარჩა აუთვისებელი და მუნიციპალიტეტის მერია ბიუჯეტიდან ახერხებს 5 ავტომობილის შეძენას. დავით სირაბიძემ ასევე იასუბრა საფეხბურთო კლუბ ,,ბეთლემი"-ს თაობაზე. მისი აზრით, კარგი იქნებოდა თუ მუნიციპალიტეტი შეიტანდა წვლილს ამ კლუბის უკეთ განვითარებისათვის და ხშირად ფორსმაჟორულ სიტუაციაში არ მიიღებდა საკრებულო მუნიციპალიტეტის მთავარ ფინანსურ დოკუმეტს. აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ორგანიზაციებში კერძოდ, შპს-ებსა და ა(ა)იპ-ების მიერ ბიუჯეტის შესრულება 98-100%-ია, მაშინ როდესაც გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ათვისება სრულად ვერ ხერხდება. მუნიციპალიტეტის ორგანიზაციების ბიუჯეტი შესრულების ნაწილში, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ნაწილს სჯობდა ნათელი იყო, ამიტომაც საკრებულოს წევრებს შესთავაზა მომდევნო რომელიმე სხდომაზე მოეწვიათ მუნიციპალიტეტის შპს-ებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები, რათა მოესმინათ მათი საქმიანობის შესრულების ანგარიში წარმატებული პრაქტიკის გასაზიარებლად. აქვე დავით სირაბიძე მუნიციპალიტეტის ორგანიზაციებითან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ მისთვის დღემდე გაურკვეველი იყო, როგორც საკრებულოს წევრი, რატომ ვერ იღებდა ინფორმაციას მუნიციპალურ ორგანიზაციებში დასაქმებული პირთა ვინაობის შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ დაბა ქედის პარკის რეაბილიტაცია და სოფელ დანდალოში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია დაფინასებული იყო რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, რადგანაც ამ ორი პროექტის განხორციელება ვერ მოხდა, ამიტომაც დარჩა ეს თანხა აუთვისებელი.

დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს ვინ უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი პირი განუხორციელებელ პროექტებზე, რაზედაც მომხსენებელმა განუმარტა, რომ პროექტის ჩაშლის მიზეზად თუ არ გამოიკვეთებოდა კონკრეტული

სამსახურის/პიროვნების ბრალეულობა, ვერავის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხზე ის ვერ ისაუბრებდა.

ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რამდენი ლარი დარჩა დაბა ქედაში ხაბაზების უბანში წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება დაიწყო 2021 წელს და მისი დასრულება 2022 წელს იქნა შესაძლებელი, ხოლო დარჩენილი ეკონომია შეადგენდა 26 000 ლარს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს იგეგმება თუ არა ბინის ქირით გაყვანის პროგრამაში 300 ლარის გაზრდა, ვინაიდან აღნიშნული თანხა იბეგრება საშემოსავლო გადასახადით და შეიძლება მომავალში ამ ფასად მოქალაქემ ვერ იშოვოს საცხოვრებელი ფართი, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ შესაძლებელი იყო სამომავლოდ ამ თანხის გაზრდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 5 (შორენა კარანაძე, მინდია არძენაძე, გოჩა ჟღენტი, ჯემალ დავითაძე და დავით სირაბიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95231182, 28.04.2023 წელი).

5. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.

მომხსენებელმა გივი დევაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში (წერილის ნომერი:№12-95230751-95,16.03.2023 წელი) საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთახ ხარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, იყო თუ არა შესაძლებელი თუნუქის სახურავის შესაძენად გამოყოფილი თანხის ზრდა, რაზედაც მომხსენებელმა უპასუხა, რომ თუ ბიუჯეტში ამ პროგრამის თანხები გაიზრდებოდა, შესაძლებელი იქნებოდა თუნუქის ფურცლების შესყიდვიდან მიღებული ეკონომიის გათვალისწინება და დამატებით შესყიდვის განხორციელება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რას მიიჩნევდა ყველაზე დიდ ხარვეზად თავის ანგარიშში, რასაც სამომავლოდ 2023 წლის სამუშაო პროცესში არ გაიმეორებდა. ასევე ისაუბრა კომპანია ,,რაგი"-ზე, რომელმაც ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა, რა ღონიძიებები გატარდა ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ.

მომხსენებელმა გივი დევაძემ განმარტა, რომ მის ხარვეზად არ მიიჩნევდა, თუმცა 2022 წლის არ შემდგარი ტენდეტების რაოდენობას არ ისურვებდა 2023 წელს. რაც შეეხება შპს ,,რაგი"-ს შავ სიაში შეყვანის საკითხს, განმარტა რომ მუნიციპალიტეტს მსგავსი ტიპის მექანიზმი არ გააჩნდა. რაც შეეხებოდა ტენდერებში მონაწილე კომპანიების ვინაობის

რეგულირებას ამას მუნიციპალიტეტი ვერ განახორციელებდა, ვინაიდან ტენდერებში მონაწილეობა ნებისმიერ კომპანიას შეეძლო, თუ ის აკმაყოფილებდა სატენდერო მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 5 (შორენა კარანაძე, მინდია არძენაძე, გოჩა ჟღენტი, ჯემალ დავითაძე და დავით სირაბიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95231181, 28.04.2023 წელი).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 13:30 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**